შინაარსი

1. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები და იერარქია 2
2. ტერმინთა განმარტება 2
3. მომსახურების პირობები 3
4. განცხადებები და გარანტიები 4
5. ზოგადი დათქმები 5
6. ანგარიშსწორების წესი 6
7. ხელშეკრულების შეწყვეტა და შეწყვეტის შედეგები 7
8. მხარეთა პასუხისმგებლობა 7
9. კომუნიკაცია, შეტყობინებები 8
10. ფორს-მაჟორი 8
11. დავის განხილვის წესი 9
12. დასკვნითი დებულებები 9

1. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები და იერარქია

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებას და ხელშეკრულების პირობების შესრულება სავალდებულოა მხარეთათვის;

1.2. მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა შედგება შემდეგი შეთანხმების/დოკუმენტებისაგან: ა) მომსახურების ხელშეკრულება (ძირითადი პირობები), (ბ) მომსახურების ხელშეკრულება (არსებითი პირობები), (გ) მომსახურების ხელშეკრულების დანართი. თითოეული მათგანი წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ მთლიანობას და ერთმანეთის განუყოფელ ნაწილს, ხელშეკრულების გაყოფელი ნაწილია აგრეთვე ნებისმიერი შეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში;

1.3. მომსახურების ხელშეკრულების ძირითად პირობებსა და მომსახურების ხელშეკრულებას (არსებითი პირობები) შორის შეუსაბამობისას, უპირატესობა ენიჭება მომსახურების ხელშეკრულებას, ხოლო მომსახურების ხელშეკრულებასა და მისი დანართის პირობებს შორის კონკურენციისას - დანართს. დანართებს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესია დათქმა რომელიც წარმოადგენს უფრო ახალს და რომლითაც უკეთ მიიღწევა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მიზანი.

2. ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2.1. **ხელშეკრულება** - წინამდებარე შეთანხმება, მომსახურების ხელშეკრულება, მომსახურების ხელშეკრულების დანართ(ები), ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ფორმდება მხარეთა შორის ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით;

2.2. **მომსახურების ხელშეკრულება** - შეთანხმება, რომელიც ფორმდება მხარეთა შორის და რომელიც შეიცავს ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ დათქმებს;

2.3. **მომსახურების ხელშეკრულების დანართი** - შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს შეთანხმების დამატებით პიროებებს, ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, მიუხედავად დანართების რაოდენობისა;

2.4. **პრეამბულა** - ხელშეკრულებაში მოცემული, დამატებითი განმარტებითი დათქმები (ასეთი არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულების მიზნის და პირობათა განმარტებასთან დაკავშირებით. პრეამბულა წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.5. **ბანკი** - მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, ვის სასარგებლოდაც ხდება მომსახურების გაწევა;

2.6. **კონტრაჰენტი** - მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი (ფიზიკური, იურიდიული ან საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი), რომელიც გასწევს მომსახურებას ბანკის სასარგებლოდ;

2.7. **მხარე** - ბანკი ან კონტრაჰენტი, კონტექსტის შესაბამისად;

2.8. **მხარეები** - ბანკი და კონტრაჰენტი ერთად;

2.9. **მესამე პირი** - ნებისმიერი მესამე პირი, გარდა მხარეებისა;

2.10. **დაკავშირებული პირი** - ბანკის შვილობილი ან/და მშობელი კომპანია, ასევე კომპანია, რომელიც წარმოადგენს ბანკის მშობელი კომპანიის შვილობილს;

2.11. **მომსახურება** - კონტრაჰენტის მიერ ბანკისთვის გასაწევი მომსახურება, რომლის დეტალური პირობები მოცემულია მომსახურების ხელშეკრულებასა და მის დანართ(ებ)ში.

2.12. **მიღება-ჩაბარების აქტი** - დოკუმენტი, რომელიც შესაძლოა გაფორმდეს ბანკსა და კონტრაჰენტს შორის კონტრაჰენტის მიერ მომსახურების ჯეროვნად გაწევისა და ბანკის მიერ, გაწეული მომსახურების მიღების დასტურად;

2.13. **გარანტია** - კონტრაჰენტის ვალდებულება, საკუთარი ხარჯითა და ძალისხმევით გამოასწოროს მომსახურების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ნაკლი და/ან ხარვეზი, რომელიც წარმოიშვება საგარანტიო პერიოდში;

2.14. **სამუშაო დღე** - დღე, გარდა შაბათისა და კვირისა, აგეთვე კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა;

2.15. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, აგრეთვე, საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

2.16. **ინტელექტუალური საკუთრება** - წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, კონტრაჰენტის მიერ ბანკისთვის გადაცემულ ნებისმიერ იმ პროდუქტზე ინტელექტუალური საკუთრების უფლება, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, მიუხედავად მისი გამოხატვისა საშუალებისა და ფორმისა და რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით მოწესრიგებულ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების (მათ შორის, საავტორო და მომიჯნავემ გამოგონება, დიზაინი და ა.შ.) საგანს;

2.17. **დღე** - კალენდარული დღე;

2.18. **საბანკო დღე** - დღე (შაბათის, კვირის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც ბანკი ღიაა და წარმართავს საბანკო საქმიანობას;

2.19. **უფლებრივად უნაკლო ნივთი** - ნივთი/მომსახურება, რომლის მიმართ მესამე პირ(ებ)ს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე სახის უფლებები ბანკის წინააღმდეგ ან/და წარუდგინონ ბანკს პრეტენზია აღნიშნული უფლებების გამო;

2.20. **ნივთობრივად უნაკლო ნივთი** - ნივთი/მომსახურება, რომელიც შეესაბამება როგორც ბანკთან შეთანხმებულ ხარისხს აგრეთვე და იმავდროულად ხარისხს, რომელიც სტანდარტულად განკუთვნილი და დამახასიათებელია მომსახურებისთვის;

2.21. **ქვეკონტრაქტორ(ებ)ი** - მესამე პირ(ებ)ი, რომლებთანაც არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე კონტრაჰენტი უზრუნველყოფს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.22. **კონტრაჰენტის თანამშრომელი** - ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს კონტრაჰენტის სახელით მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის შრომით/სახელშეკრულებო ურთიერთობებში კონტრაჰენტთან და აქვს თუ არა შესაბამისი უფლებამოსილება მინიჭებული კონტრაჰენტისგან;

2.23. **მწარმოებელი** - პირი, რომელიც აწარმოებს პროდუქტს, ან გამოაქვს ის რაიმე ფორმით სარეალიზაციოდ;

2.24. **ეროვნული ვალუტა** - საქართველოს ეროვნული ვალუტა;

2.25. **უცხოური ვალუტა** - ნებისმიერი ვალუტა, გარდა ეროვნული ვალუტისა;

2.26. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად მისი ფორმისა (მათ შორის მატერიალური და ელექტრონული ფორმით), რომელიც წარმოადგენს ბანკის და/ან ბანკთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირის ნებისმიერ ინფორმაციას (მათ შორის, ტექნიკური და ფინანსური მონაცემები, ბანკის მფლობელობაში არსებული ობიექტების ელექტრომომარაგების გაყვანილობის, სიგნალიზაციის და/ან უსაფრთხოების სისტემების შესახებ ინფორმაცია, ანალიტიკური მასალები, დოკუმენტები, ხელშეკრულებები, შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტაცია და ა.შ.), რომელიც შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს კონტრაჰენტის და/ან კონტრაჰენტის თანამშრომლისათვის;

2.27. **პერსონალური მონაცემები** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

2.28. **პირგასამტეხლო/ჯარიმა** - ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდაც მხარეს დაეკისრება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. ამასთან, პირგასამტეხლოს დაანგარიშება დაიწყება დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მომენტიდან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს წარმოეშვება, მხოლოდ მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

2.29. **მოთხოვნა** - ბანკის მიერ კონტრაჰენტისათვის ხელშეკრულებაში აღნიშნული მხარეთა ელექტრონული ფოსტის მისამართების გამოყენებით გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინების და/ან სატელეფონო შეტყობინების და/ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა სახით გაგზავნილი შეტყობინება, რომლითაც ბანკის მიერ განისაზღვრება გასაწევი მომსახურების მოცულობა, მახასიათებლები, და სხვა დეტალები.

3. მომსახურების პირობები

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე კონტრაჰენტი კისრულობს ვალდებულებას, ბანკს გაუწიოს შეთანხმებული მომსახურება;

3.2. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების ხელშეკრულება დადებულია ხანგრძლივი ვადით და ბანკის მიერ მომსახურების მრავალჯერადად მიღების შესაძლებლობით, კონტრაჰენტის მიერ ბანკისთვის მომსახურების გაწევა მოხდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ბანკის მოთხოვნისამებრ, რაზეც ბანკი მიმართავს, უგზავნის მოთხოვნას კონტრაჰენტს მომსახურების გაწევის დაწყებამდე.

3.3. მომსახურების გაწევას კონტრაჰენტი უზრუნველყოფს პირადად. მაშინაც კი, თუ მომსახურების გაწევისთვის კონტრაჰენტი იყენებს თანამშრომლებს ან ქვეკონტრაქტორებს, კონტრაჰენტი მხოლოდ თვითონ წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს ბანკის წინაშე. კონტრაჰენტი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში ბანკს მიაწოდოს ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლები.

3.4. კონტრაჰენტი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ბანკისთვის ჯეროვნად, მაღალი ხარისხით და ბანკის მითითებების და საჭიროების შესაბამისად.

3.5. ბანკი უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს კონტრაჰენტის ან/და ქვეკონტრაქტორების მიერ მომსახურების გაწევის პროცესს და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას;

3.6. ნებისმიერი შესრულება და სარგებელი, მათ შორის ბანკისთვის შესაძლო გადასაცემი ნივთი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ბანკს უნდა გადაეცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, რაც გულისხმობს ნივთის მდგომარეობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით და ნივთის გადაცემას მესამე პირების მიერ პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობის გარეშე;

3.7. იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევის პროცესი შეთანხმებულია ბანკთან, კონტრაჰენტი ვალდებულია ნებისმიერი კორექტირება ან ცვლილება მომსახურების გაწევისას წინასწარ შეუთანხმოს ბანკს;

3.8. კონტრაჰენტის მიერ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა ბანკის მიერ არ ანაზღაურდება, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული წინასწარ არ არის შეთანხმებული მხარესთან;

3.9. კონტრაჰენტი არ არის უფლებამოსილი შეცვალოს/გაზარდოს მომსახურების საფასური. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტი მიიჩნევს რომ სახეზეა საფასური ცვლილების წინაპირობა, იგი ვალდებულია ასეთი გარემოების

შესახებ წინასწარ აცნობოს ბანკს და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს აუდიტორული დასკვნა, რითაც დადასტურდება ფასის ცვლილების აუცილებლობა. ბანკი უფლებამოსილია, ასეთი გარემოების არსებობისას შეცვალოს ხელშეკრულების საფასური ან/და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

3.10. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ სრულდება ბანკის მასალით ან ბანკის მითითებით, კონტრაჰენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ისეთი გარემოებების შესახებ, რაც ხელს უშლის მომსახურების ჯეროვან შესრულებას, აღნიშნული შეიძლება იყო მასალის დეფექტი/უვარგისობა, ასევე ბანკის მითითება და სხვ.

3.11. კონტრაჰენტის მიერ ბანკისათვის მომსახურების (მათ შორის უძრავი ნივთის, მოძრავი ნივთის ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის) მიწოდება, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, უნდა დასტურდებოდეს მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით;

3.12. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული მომსახურება ან მისი ნაწილი (მათ შორის უძრავი ნივთი, მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) არ არის უფლებრივად ან/და ნივთობრივად უნაკლო, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო კონტრაჰენტი ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში (დამატებითი ვადა), ვალდებულია აღმოფხვრას არსებული ნაკლი ან მიაწოდოს ბანკს ახალი ნივთი. ბანკი იტოვებს უფლებას, ნაკლის აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემთხვევაში, თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს კონტრაჰენტს ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება;

3.13. თუ კონტრაჰენტმა მომსახურების შედეგად ბანკისათვის გადაცემული მომსახურებისთვის/ნივთისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი (როგორც უფლებრივი ასევე ნივთობრივი) წარმოშობს ბანკის მოთხოვნის უფლებას, როგორც ნაკლის გამოსწორების ან/და ზიანის/ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის;

3.14. თუ მომსახურება ითვალისწინებს სარემონტო/საინსტალციო სამუშაოების წარმოებას, კონტრაჰენტი სრული მოცულობით აგებს პასუხს ბანკის წინაშე როგორც კონტრაჰენტის თანამშრომლის ისე ქვეკონტრატორ(ებ)ის მიერ სარემონტო/საინსტალციო/გარემოზე ზემოქმედების ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმატივების/ტექნიკური რეგლამენტების და/ან უსაფრთხოების ტექნიკური ნორმების და შრომის უსაფრთხოების ზომების დარღვევით გამოწვეული სამართალდარღვევის ან/და სხვა საზიანო შედეგებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოების შესრულების პროცესში კონტრაჰენტის თანამშრომლებს/ქვეკონტრაქტორებს შესაძლებლობა ექნებათ იყვნენ და გადაადგილდნენ ბანკის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ფართში/ობიექტში, და რომ მათ ექნებათ წვდომა კონტრაჰენტის საკუთრებაში და/ან მფლობელობაში არსებულ ნივთებზე, კონტრაჰენტი ასევე პასუხს აგებს მომსახურების პროცესში როგორც კონტრაჰენტის თანამშრომლის ისე ქვეკონტრატორ(ებ)ის მიერ ბანკის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის, როგორც ბრალეული ასევე გაუფრთხილებელი ქმედების დროსაც. კონტრაჰენტი ასევე ვალდებულია განახორციელოს ბანკის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ფართის/ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის დალაგება/ გაწმენდა თავისი მიზეზით წარმოქმნილი ნარჩენებისაგან და მოახდინოს მათი გატანა საქალაქო სანებართვო სამსახურების მიერ გამოყოფილ ადგილებში, დადგენილი წესების დაცვით.

4. განცხადებები და გარანტიები

4.1. მხარეები აცხადებენ და გარანტიას გასცემენ, რომ:

4.1.1. აქვთ სრული უფლებამოსილება და მიღებული აქვთ ყველა საჭირო თანხმობა/ნებართვა, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოსგან, რათა დადონ ხელშეკრულება და შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.1.2. ხელშეკრულების დადებით არ არღვევენ კანონმდებლობას, სხვა პირებთან არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას და ხელშეკრულება შესაბამისობაშია სადამფუძნებლო დოკუმენტებთან;

4.1.3. წარმოადგენენ გადამხდელუნარიან პირს, რომელთა მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

4.1.4. მათი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს და ხსენებული მოთხოვნები დაცული იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. ამასთან, კონტრაჰენტი ვალდებულია ბანკისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაცია განახორციელოს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით;

4.1.5. იცავენ ადამიანს უფლებებსა და თავისუფლებებს როგორც აბსოლუტურ ღირებულებას და თავი ბიზნეს საქმიანობას წარმართავენ აღნიშნული ღირებულებების დაცვით. საქმიანობის პროცესში არ არღვევენ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს, ხელს არ უწყობენ მონურ შრომას და მკაცრდა გმობენ პირთა შორის დისკრიმინაციას.

4.1.6. თითოეული მათგანი თავის საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავს კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა

კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითხებს უწევენ მუდმივ კონტროლს.

4.2. კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ

4.2.1. მომსახურების გაწევისას არ დაუშვებს მესამე პირთა უფლებების, მათ შორის, ინტელექტუალურ-სამართლებრივი უფლებების, დარღვევას;

4.2.2. ხელშეკრულების დადების მომენტისთვის ბანკისგან მიღებული აქვს მომსახურების გაწევისთვის საჭირო ინფორმაცია;

4.2.3. თვითონ, მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე მისი ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირები (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, მათ შორის, წარმოადგენს ნებისმიერ პირს, რომელსაც ბანკის შეფასებით, მათ შორის, სანქციის მიზნიდან, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პირზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:

4.2.3.1. არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთვის სანქცია, მათ შორის, მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას).

4.2.3.2. არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

4.2.3.3. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

4.2.3.4. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/აქტივთან/პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სრული ან/და მიზნობრივი ან/და სექტორული სანქციები/შეზღუდვები.

5. ზოგადი დათქმები

5.1. კონტრაჰენტი კისრულობს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ, წერილობით, აცნობოს ბანკს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან ან/და გამოიწვიოს აღნიშნული გარანტიების დარღვევა.

5.2. კონტრაჰენტი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თავისი სამართლებრივი სტატუსის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მატერიალური პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ბანკისთვის წამოყენებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე დაეკისრება კონტრაჰენტს;

5.3. ნებისმიერ პროდუქტზე საკუთრების უფლება, რაც წინამდებარე ხელშეკრულებს ფარგლებში, კონტრაჰენტის მიერ იქმნება ბანკისთვის გადაეცემა ბანკს.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი კონტრაჰენტი, თითოეული ასეთი კონტრაჰენტი წარმოადგენს ბანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებაზე, ერთ-ერთ კონტრაჰენტთან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა კონტრაჰენტის მიმართაც. ერთ-ერთი კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ კონტრაჰენტს და მის მიმართ ისარგებლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით. ბანკი უფლებამოსილია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ კონტრაჰენტს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ;

5.5. კონტრაჰენტს მკაცრად ეკრძალება პირდაპირ ან ირიბად, ბანკის თანამშრომლებთან/ კონტრაქტორებთან დაკავშირება ბანკისგან დამოუკიდებლად, დასაქმების ან რაიმე ტიპის მომსახურების გაწევის შეთავაზების მიზნით. კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ არ მოითხოვს, არ წაიყვანს ბანკის თანამშრომლებს, არ დაასაქმებს და არც შესთავაზებს დასაქმებას. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და აგრეთვე, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კონტრაჰენტი ვალდებული იქნება გაუხადოს ბანკს ჯარიმა 10,000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, ბანკის მოთხოვნისთანავე.

5.6. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის გაცვლილი ნებისმიერი ინფორმაცია, როგორც დოკუმენტური ასევე ზეპირი სახით წარმოადგენს მკაცრად კონფიდენციალურს. შესაბამისად, თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად კონფიდენციალურად შეინახოს მიღებული ინფორმაცია და არ დაუშვას მისი გამჟღავნება

სხვა ნებისმიერი მესამე პირისთვის; მხარე ვალდებულია მიმართოს ყველა ძალისხმევას რათა, არ ჰქონდეს წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციასთან სხვა მესამე პირს, ხოლო ასეთი შემთხვევის დადგომის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და გამოიყენოს ყველა ღონისძიება შექმნილი გარემოების აღმოსაფხვრელად. მხარე იღებს ვალდებულებას თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს მეორე მხარეს კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების შედეგად (მათ შორის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგად), ზიანის ოდენობის მიუხედავად. პასუხისმგებლობა არ დადგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით, კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების/გადაცემის შემთხვევაში. აღნიშნული პუნქტით დადგენილი ვალდებულებები ძალაში რჩება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგად, შეწყვეტის თარიღიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

5.7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მეორე მხარისთვის ცნობილი გახდა ბანკის კლიენტების ან დაკავშირებული პირების პერსონალური მონაცემი, მეორე მხარე ვალდებულია, პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კონკრეტული მიზნის მისაღწევად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის ასევე მონაცემთა დამუშავება აუცილებელ ფარგლებს მიღმა. პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა ვრცელდება ნებისმიერ პერსონალურ მონაცემზე მიუხედავად იმისა რომ თუ რა წყაროდან გახდა ცნობილი კონტრაჰენტისთვის პერსონალური მონაცემი; მხარე ვალდებულია თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს მეორე მხარეს პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ფორმით არასწორად დამუშავების შედეგად, ზიანის ოდენობის მიუხედავად, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბანკისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში.

5.8. კონტრაჰენტს უფლება არ აქვს, ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე, მესამე პირს დაუთმოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და/ან მესამე პირს გადააკისროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ბანკი უფლებამოსილია, კონტრაჰენტის წერილობითი ნებართვის გარეშე, მესამე პირს დაუთმოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და/ან მესამე პირს გადააკისროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.9. ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილ ინტელექტუალურ პროდუქტთან დაკავშირებით მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

5.9.1. ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაჰენტის მიერ ბანკისათვის შექმნილ ან/და მიწოდებულ ნებისმიერ ინტელექტუალურ პროდუქტზე ინტელექტუალური საკუთრება და ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა ქონებრივი საავტორო უფლებები გადაეცემა ბანკს;

5.9.2. ბანკის მიერ კონრტაჰენტისათვის, ზემოაღნიშნული ინტელექტუალური საკუთრების და ქონებრივი საავტორო უფლებების გადაცემისათვის დამატებითი საფასური გადაიხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ამაზე ცალკე სპეციალურად შეთანხმდებიან, სხვა შემთხვევაში, მომსახურების საფასური მოიცავს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებების ღირებულებას.

5.9.3. ბანკი უფლებამოისლია თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის შექმნილი/გადაცემული ინტელექტუალურ პროდუქტი და ბანკის მიერ აღნიშნული ინტელექტუალური პროდუქტის არ გამოყენების ფაქტი არ გამოიწვევს მასზე/მათზე ბანკის ინტელექტუალური საკუთრების და ქონებრივი საავტორო უფლებების დაკარგვას/გაუქმებას და კონტრაჰენტისათვის დაბრუნებას.

5.10. აუთსორსინგულ მომსახურებასთან დაკავშირებით მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

5.10.1. ბანკი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც კომერციული ბანკების საზედამხედველო ორგანოს, აუთსორსინგულ კომპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

5.10.2. კონტრაჰენტი იღებს ვალდებულებას:

5.10.2.1. არ შეაფერხოს საქართველოს საზედამხედველო/მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს ეროვნული ბანკის) მიერ, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციის (კომერციული ბანკის) საქმიანობის დროული რეკონსტრუქცია;

5.10.2.2. მიანიჭოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც კომერციული ბანკების საზედამხედველო ორგანოს, უფლება დაუყოვნებლივ და უპირობოდ გამოითხოვოს კომპანიისგან (კონტრაჰენტისაგან) კომერციულ ბანკებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია;

5.10.2.3. აღნიშნული შეთანხმების მოქმედების განმავლობაში, არ შეაფერხოს/რისკის ქვეშ დააყენოს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაძლებლობა შეამოწმოს ბანკის ოპერაციები.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1. საფასურის ოდენობა, მისი გადახდის ვადა/ვადები და პირობები განისაზღვრება მომსახურების ხელშეკრულებით;

6.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნული ვალუტით. საფასურის უცხოური ვალუტით განსაზღვრის შემთხვევაში, ბანკი კონტრაჰენტს საფასურს გადაუხდის ეროვნული ვალუტით უნაღდო ანგარიშსწორებით - გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. ბანკი საფასურს გადარიცხავს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე.

6.3. ბანკი კონტრაჰენტს საფასურს გადაუხდის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, თუ კონტრაჰენტი არის ან მომსახურების გაწევის პერიოდში გახდება დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაჰენტი ვალდებულია მომსახურების გაწევის ბანკის მიერ დადასტურებიდან 3

(სამი) სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით, ელექტრონულად, წარუდგინოს ბანკს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა. ბანკი უფლებამოსილია, არ გადაიხადოს საფასური, სანამ კონტრაჰენტი არ შეასრულებს ამ პუნქტით ნაკისრ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდების) ვალდებულებას.

6.4. კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ როგორც კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელი პირი უფლებამოსილია, გამოწეროს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/საგადასახადო დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება დღგ-ის ჩათვლა. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში კონტრაჰენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, მათ შორის ბანკის მიერ კონტრაჰენტის სახელით და მის სასარგებლოდ ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ს ტოლი თანხის ოდენობით.

6.5. საფასურის გადახდის თარიღად მიიჩნევა ბანკის მიერ შესაბამისი საგადახდო დავალების შესრულების დღე.

6.6. ბანკს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი კონრტაჰენტის ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, კონრტაჰენტის შემდგომი თანხმობის, ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს შესაბამისი თანხები კონრტაჰენტის ნებისმიერი სახის ანგარიშიდან. სხვადასხვა ვალუტაში თანხის ჩამოწერის დროს, კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონვერტაცია განხორციელდება სს "თიბისი ბანკის" მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კომერციული კურსით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა და შეწყვეტის შედეგები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

7.1.1. ბანკის მიერ ცალმხრივად ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ, თუ კონტრაჰენტი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს (მათ შორის ვადის გადაცილებით) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას) და ბანკის მიერ წერილობით განსაზღვრულ დამატებით ვადაშიც სრულად და ჯეროვნად არ შესრულდება ვალდებულება, არ აღმოფხვრება ვალდებულების დარღვევა;

7.1.2. ბანკის მიერ ცალმხრივად, კონტრაჰენტისთვის არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინებით, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადა აღემატება 60 (სამოცი) დღეს, ხოლო 1 (ერთი) დღით ადრე შეტყობინებით, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადა ნაკლებია 60 (სამოცი) დღეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეწყვეტისთვის არსებობს გადაუდებელი ინტერესი;

7.1.3. კონტრაჰენტის ინიციატივით, თუ ბანკი არ ასრულებს კონტრაჰენტისთვის საფასურის გადახდის ვალდებულებას;

7.1.4. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

7.1.5. ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული ნორმებით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7.2. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტს ხელშეკრულების ან კანონმდებლობის საფუძველზე წარმოეშობა ხელშეკრულების ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის საფუძველი, ის ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით შეატყობინოს ბანკს არანაკლებს 60 (სამოცი) დღით ადრე, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადა აღემატება 60 დღეს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადა ნაკლებია 60 (სამოცი) დღეზე, შეტყობინების ვადა არ შეიძლება იყო 15 (თხუთმეტი) დღეზე ნაკლები. ხელშეკრულების 15 (თხუთმეტი) დღეზე ნაკლები ვადით დადების შემთხვევაში, შეტყობინების ვადა შეადგენს 1 (ერთი) დღეს.

7.3. ხელშეკრულების 7.1.2 პუნქტის საფუძველზე ბანკის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი კონტრაჰენტს გადაუხდის მომსახურების საფასურს მის მიერ გაწეული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/მომსახურების შესაბამისად. კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი გადაუხდის კონტრაჰენტს მომსახურების საფასურს, მხოლოდ მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/მომსახურების შესაბამისად და იმ შემთხვევაში, თუ ბანკს ხელშეკრულების შეწყვეტამდე, კონტრაჰენტის მიერ უკვე გაწეული მომსახურების მიმართ გააჩნია ინტერესი;

7.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაჰენტი ვალდებულია, დაუბრუნოს ბანკს მომსახურების გაწევის მიზნით ბანკის მიერ გადაცემული ნივთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.5. ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს კონტრაჰენტს ხელშეკრულებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

8.2. კონტრაჰენტი ვალდებულია, აუნაზღაუროს ბანკს ხელშეკრულების, აგრეთვე კანონმდებლობის დარღვევით, ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული ნებისმიერი სახის პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი, ასევე ხელშეკრულების საფუძელზე ბანკისაგან მიღებული ავანსის თანხა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში). მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი დადგა კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შედეგად (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეწყვეტის საფუძველია ბანკის მიერ მომსახურების საფასურის გადახდაზე დაუსაბუთებელი უარი) და ბანკი მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო შესრულება სხვაგვარად.

8.3. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის პასუხისმგებლობა შეზღუდულია კონტრაჰენტისთვის მიყენებული პირდაპირი ზიანით. ამასთან, ბანკის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა, არ შეიძლება აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის მთლიან ოდენობას. ბანკი არ აგებს პასუხს რაიმე სახის არაპირდაპირი ზიანისთვის, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისთვის და სხვ.

8.4. მომსახურების გაწევისთვის განსაზღვრული ვადის დარღვევის ან/და მომსახურების არაჯეროვანი შესრულების/ვალდებულების დარღვევის (მათ შორის საგარანტიო პერიოდში), ან/და ხელშეკრულებაზე თანდართულ გრაფიკში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესასრულებელი სამუშაოებისათვის განსაზღვრული თითოეული ვადის პირველივე დარღვევის, ან/და ხელშეკრულებით დადგენილი, კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კონტრაჰენტს მოსთხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაჰენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს შესაბამისი პირგასამტეხლო მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით.

8.5. საგარანტიო პერიოდში მომსახურების ნაკლის/ხარვეზის გამოუსწორებლობის (ვალდებულების დარღვევის) შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია თვითონ ან/და სხვა მესამე პირის მეშვეობით გამოასწოროს/აღმოფხვრას მომსახურების ნაკლი/ხარვეზი და მოსთხოვოს კონტრაჰენტს ნაკლის/ხარვეზის გამოსწორებისათვის/აღმოფხვრისათვის მის მიერ გაწეული/დადასტურებული ხარჯების, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება.

8.6. ბანკის მიერ, კონტრაჰენტისთვის მომსახურების საფასურის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია, გადაუხადოს კონტრაჰენტს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში;

8.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა ან/და დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულებისაგან.

8.8. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს მოვალე (დამრღვევი) მხარისათვის დაკისრება წარმოადგენს კრედიტორი (არადამრღვევი) მხარის უფლებას და არა ვალდებულებას.

8.9. ბანკი უფლებამოსილია, დააკავოს და გაქვითოს კონტრაჰენტისთვის გადასახდელი თანხები, იმ შემთხვევაში, თუ გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპასუხო ფულადი მოთხოვნა მის მიმართ. აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში, კონტრაჰენტი მიიღებს საფასურს/ანაზღაურებას გაქვითული თანხის კვალობაზე.

8.10. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტი წარმოადგენს იმ პროდუქტის მწარმოებელს, რომლის მიწოდებაც გათვალისწინებულია ბანკისათვის, კონტრაჰენტი პასუხისმგებელია პროდუქტით გამოწვეული ნებისმიერი ზიანისა და ზარალისათვის. კონტრაჰენტი აგრეთვე წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს, თუ მან იცოდა მომსახურების ნაკლის ან მისგან გამოწვეული შესაძლო ზიანის შესახებ და მან არ აცნობა ბანკს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა მწარმოებელს.

9. კომუნიკაცია, შეტყობინებები

9.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით (როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული სახით) ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის ან საფოსტო გზავნილის საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია კონტრაჰენტისთვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით.

9.2. მხარეები თანხმდებიან, რომ კონტრაჰენტის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში, კონტრაჰენტის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში ან/და ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ითვლება კონტრაჰენტისთვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად, შეტყობინების გაგზავნიდან მეორე დღეს.

9.3. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჯეროვნად ჩაბარებულად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული ფორს-მაჟორული გარემოების შედეგთან;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე არ განახორციელებს მეორე მხარისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას, არ თავისუფლდება საჯარიმო სანქციების გადახდის ვალდებულებისგან.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, მხარისთვის შეტყობინებით.

11. დავის განხილვის წესი

11.1. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება მხარეთა შორის გადაწყდებს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შინაარსის დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე (თუ ხელშეკრულებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული) და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. ხელშეკრულების დადების თარიღად მიიჩნევა ხელშეკრულების არსებით პირობებში მითითებული თარიღი.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის დადასტურების მიზნით მხარეები ვთანხმდებით, რომ მხარეებს უფლება აქვთ წინამდებარე ხელშეკრულებაზე, მასთან დაკავშირებულ დანართებსა და სხვა დაკავშირებულ დოკუმენტებზე ხელმოწერისთვის გამოიყენონ ელექტრონული ხელმოწერა როგორც კვალიფიციური, აგრეთვე განვითარებული. ამასთან, შესაძლოა კონკრეტული გარიგება ითვალისწინებდეს მხოლოდ კვალიფიციური ხელმოწერით დადასტურების მოთხოვნას ბანკის მიერ;

12.3. მხარეები ადასტურებენ, რომ ელექტრონული ხელმოწერის გამოიყენების შემთხვევაში, ელექტრონული ფორმით (მათ შორის და არა მხოლოდ, ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით) შესრულებულ ხელმოწერას (მათ შორის კვალიფიციურ ან განვითარებულ ელექტრონული ხელმოწერას), საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეთა წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, გააჩნია წერილობითი/მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის ტოლფასი/თანაბარი იურიდიული ძალა, რასაც მხარეები არ აყენებ და არ დააყენებენ ეჭვქვეშ. შესაბამისად, ნებისმიერი გარიგების ელექტრონული ფორმით ხელმოწერა/დადასტურება არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის ხელშეკრულების ასეთი გარიგების ნამდვილობის თვალსაზრისით.

12.4. **კონტრაჰენტი აცხადებს თანხმობას:**

12.4.1. ბანკმა / ელექტრონული ხელმოწერის მომწოდებელმა კომპანიამ ელექტრონული ხელმოწერის მიზნებისთვის დაამუშაოს ბანკში დაფიქსირებული ან ბანკისთვის ნებისმიერი წყაროდან გაზიარებული/მიღებული კონტრაჰენტის ან/და კონტრაჰენტის წარმომადგენლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი, ხოლო იმ შემთხვევისთვის თუ კონტრაჰენტის წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია მინდობილი პირის/წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე დაამუშაოს ასეთი წარმომადგენლის იგივე პერსონალური მონაცემები;

12.4.2. კონტრაჰენტი აცნობიერებს, რომ შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ კონტრაჰენტის სახელით ბანკთან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, გაფორმებული/ხელმოწერილი შეთანხმება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს კონტრაჰენტისთვის, მათ შორის, მინდობილი პირის ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შემთხვევაში;

12.4.3. ბანკი პასუხს არ აგებს კონტრაჰენტის მიერ ან შესაბამისი წარმომადგენლობის საფუძველზე მინდობილი პირის/წარმომადგენლის მიერ, კონტრაჰენტის სახელით ბანკში შეცვლილი ან/და ბანკისთვის მიწოდებული კონტრაჰენტის საკონტაქტო მონაცემების, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის, მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენებით ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე, ისევე როგორც ბანკი არ აგებს პასუხს ასეთი საკონტაქტო მონაცემების სხვა პირის მიერ გამოყენებაზე, მათ შორის კონტრაჰენტის მობილური

ტელეფონის ნომრის მეშვეობით სხვა პირის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე ან კონტრაჰენტის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

12.4.4. კონტრაჰენტი თავად არის ვალდებული, გამართულ მდგომარეობაში და რელევანტურად დაცულ გარემოში შეინახოს ყველა ის ინფორმაცია თუ მოწყობილობა, რომელსაც იყენებს ელექტრონული ხელმოწერისთვის.

12.5. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

12.6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.7. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან მომავალში გახდება ბათილი, აღნიშნული არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე.

12.8. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

12.9. იმ საკითხებზე მსჯელობისას რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით და/ან დამატებით შეთანხმებული პირობებით.

12.10. ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და თანამშრომელთათვის.